საიდ. №72898/03

IR 1162837

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №118-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ "საქპატენტთან" არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: თ. ჯაფარიძე (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, ლ. კერესელიძე, ლ. ახობაძის მდივნობით განიხილა კომპანიის ,,ჰასელბლად ს.ა.რ.ლ. (HASSELBLAD S.a.r.l.) (მის.: 22, რიუ გოეთე, L-1637 ლუქსემბურგი; 22, rue Goethe, L-1637 Luxembourg) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №118-03/14), რომლითაც მოითხოვება ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 15 აპრილის №769/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვს - ,,H" (საიდ.N№72898/03 IR 1162837) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-9 კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის გადაწყვეტილება და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 15 აპრილის №769/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „H" წარმოადგენს ერთ არასტილიზებულ სტანდარტულ ასოს, შესრულებულს მხოლოდ ერთ ფერში, რაც „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს ნიშნის დაცვაზე უარის თქმის საფუძველს.

აპელანტი კომპანია ,,ჰასელბლად ს.ა.რ.ლ. (HASSELBLAD S.a.r.l.) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, საქპატენტში საქართველოზე გასავრცელებლად მადრიდის ხელშეკრულების ოქმის შესაბამისად შემოსული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი „H" (საიდ.N№72898/03 IR 1162837) წარმოადგენს არასტანდატრულ სტილიზებულ ასოს. აპელანტის მითითებით, არ მოიძებნება სტანდარტული ლათინური ანბანი, სადაც სიმბოლოს „H" აქვს ისეთივე გამოსახულება, როგორიც სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ სასაქონლო ნიშანს. აპელანტის პოზიციით, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშნის „H" ჰორიზონტალური ხაზი კვეთს და გამოდის სიმბოლოს მარცხენა ვერტიკალური ხაზიდან. სიმბოლოს ვერტიკალური ხაზები გაცილებით უფრო სქელია, ვიდრე ჰორიზონტალური ხაზი. სიმბოლოს ყველა ელემენტი დახრილია მარჯვნისაკენ. ჰორიზონტალური ხაზის მარცხენა კიდე, დახრილია ასევე მარჯვნივ. აპელანტის მითითებით, სააპელაციო საჩივარზე თანდართულია საქპატენტის ისეთი გადაწყვეტილებები, სადაც სტილიზებულად შესრულებული „H" რეგისტრირებულია

სასაქონლო ნიშნად.ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 15 აპრილის №769/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვს - ,,H“ (საიდ.N№72898/03 IR 1162837) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №118-03/14) უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც „წარმოადგენს ერთ არასტილიზებულ (სტანდარტულ) ასოს ან ციფრს, ან ცალკე აღებულ მხოლოდ ერთ ფერს“.

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „H“ (IR 1162837) წარმოადგენს სტილიზებულად შესრულებულ ასოს. ლათინური ანბანის მიხედვით, სტანდარტული „H“-ის როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური ხაზები არის თანაბარი სისქის, ხოლო განცხადებული სასაქონლო ნიშნის ვერტიკალური ხაზები ჰორიზონტალურ ხაზთან შედარებით დაახლოებით სამჯერ უფრო მსხვილია. განცხადებული სასაქონლო ნიშანი დახრილია მარჯვნისაკენ. მისი ჰორიზონტალური ხაზი კვეთს ვერტიკალურ ხაზს. აღნიშნული გარემოება ხდის ასოს სტილიზებულს და განცხადებულ სასაქონლო ნიშანს განასხვავებს სტანდარტული „H“-ისაგან. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთი ასოსაგან შემდგარი სასაქონლო ნიშანი მხოლოდ იმ შემთხვევაში არ რეგისტრირდება, თუ ის არ არის სტილიზებული. აღნიშნული ქვეპუნქტი ვერ გავრცელდება ისეთ სიმბოლოებზე, რომლებიც არასაკმარისად ან ნაკლებად სტილიზებულია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას და სასაქონლო ნიშანი „H“ (IR 1162837) უნდა დარეგისტრირდეს განცხადებული საქონლის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის ,,ჰასელბლად ს.ა.რ.ლ. (HASSELBLAD S.a.r.l.) (მის.: 22, რიუ გოეთე, L-1637 ლუქსემბურგი; 22, rue Goethe, L-1637 Luxembourg) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №118-03/14) დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნას ცნობილი ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ” სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 15 აპრილის №769/03 ბრძანება.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ,,H“ (საიდ.N№72898/03 IR 1162837) მიენიჭოს დაცვა საქართველოში განცხადებული პირველი და მე-9 კლასის საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: თ. ჯაფარიძე

წევრები: ს. დუმბაძე

ლ. კერესელიძე